ოქმი:ო37. 3724205001

თარიღი:23/07/2024

ოქმი N 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი 22 ივლისი

ქ. ოზურგეთი

16:00- 17:00 -საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, გ. ჩავლეშვილი. ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ ითხოვა დღის წესრიგისათვის ერთი საკითხის-„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-დამატება, ამ ცვლილებით ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1.საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

2. ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

3. ინფორმაცია კულტურის განვითარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების (2024 წლის ექვსი თვის მდგომარეობით) განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

4. ინფორმაცია ,,სპორტის განვითარების" ხელშეწყობის ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ფაქტობრივი შედეგების (30.06.2024 წლის მდგომარეობით) განხილვის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

5.ინფორმაცია 2023 წელის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით გაცემული ქონებიდან საიჯარო ქირის ბიუჯეტში შემოსულობების შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

6**.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მე-2 კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

დაეწეროთ განსახილველად საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას(გ. ჩავლეშვილი) განხილვისა და დასკვნის წარმოსადგენად.

7. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

გადაწყვიტეს:

1.დღის წესრიგით გათვალისწინებული N 2,3,4,5 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2. N 1, 7 საკითხები განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიას(ბ. თოიძე).

3.N 6 საკითხი დაეწეროთ განსახილველად საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებს, მათ შორის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას(გ. ჩავლეშვილი)

განხილვისა და დასკვნის წარმოსადგენად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი